# საჯარო სამართლის იურიდიული პირი

# წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020146939112521

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**


**# 22/7954** **22 / ნოემბერი / 2021 წ.**

სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს ბატონ ირაკლი მუკნიაშვილს

ბატონო ირაკლი,

სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 05 ნოემბრის #178/მ მივლინების ბრძანების შესაბამისად 2021 წლის 05 ნოემბერს სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელდა შპს „ტექნოლოჯი 2021"-ზე (ს/ნ 405470869) ონის მუნიციპალიტეტში მანგანუმის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული #10002204 ლიცენზიის ადგილზე დათვალიერება/შესწავლა.

ადგილზე დათვალიერება/შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „ტექნოლოჯი 2021" ონის მუნიციპალიტეტის სოფ. შქმერში X-368670; Y-4705093 კოორდინატის მიმდებარედ ახორციელებდა მანგანუმის მადნის მოპოვებას და გატანას, რომელსაც ასაწყობებდა მოპოვების ადგილიდან დაახლოებით 500 მეტრში (პირდაპირი ხაზით) X-369130; Y-4705258 კოორდინატის მიმდებარედ და დასაწყობებული მანგანუმის მადნის მოცულობა შემოწმების მომენტისათვის შეადგენდა 453.6 $მ^3$-ს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წიაღით შესაძლო უკანონო სარგებლობასთან დაკავშირებით, გიგზავნით საქმის მასალებს კომპეტენციის ფარგლებში შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით.

დანართი: 17 (ჩვიდმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე

ირაკლი გელაშვილი